

## საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

საქართველო-უკრაინის კულტურულ-ისტორიულ თუ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების ხანაში საქართველოს და კიევის რუსეთს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული ურთიერთობა. რელიგიურმა ერთობამ ხელი შეუწყო იდეოლოგიური ინტერესების ერთობასაც. მონგოლთა დაპყრობებმა ერთობ შეასუსტეს ეს ურთიერთობები, თუმცა შემდგომ პერიოდში კვლავ გაგრძელდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ( პაიჭაძე გ., 1971: 99)

XVI-XVII საუკუნეები უმძიმესი პერიოდია უკრაინის ისტორიაში. იმ დროს უკრაინელებს უხდებოდათ ბრძოლები როგორც პოლონელი პანების, ისე ოსმალების წინააღმდეგაც. ოსმალეთი საერთო მტერი იყო უკრაინისა და საქართველო-ოსათვის. საქართველოს ხელისუფალნი ცდილობდნენ ზაპოროჟიელი კაზაკები გამოეყენებინათ საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო ინტერესებისათვის.

მე-17 ს. მოგზაურთა ცნობებით ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებული კაზაკები უამინდობის, თურქებისაგან დევნის, დასვენების აუცილებლობის თუ სხვა მიზეზების გამო ჩერდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს ხელსაყრელ მისადგომებთან (თ. ტივაძე, 1971:64). დასავლეთ საქართველო, როგორც ოსმალეთის ვასალური ქვეყანა კაზაკებს აშკარად ვერ დაეხმარებოდა, თუმცა მოსახლეობა ყოველთვის ეხმარებოდა მათ. ეჩელების ცნობით, როცა კაზაკებმა 1646-1647 წწ. აიღეს გონიო, ადგილობრივი ეხმარებოდნენ კაზაკებს (თ. ტივაძე, 1971: 65).

საინტერესო ცნობას გვაწვდის იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა ვალე. მისი ცნობით დადიანს თუ გურიელს 1616-1618 წწ. თურქების წინააღმდეგ კაზაკებთან კავშირის შესაკვრელად გაუგზავნიათ წარმომადგენლები და საჩუქრად გაუტანებიათ პატარა ოქროს ჯვარი („ივერია“, 1879, ნომერი 3, მარტი, გვ. 58). მისივე ცნობით, კაზაკებს აინტერესებდათ შაჰ-აბასის პოზიცია ანტითურქული ლაშქრობის შემთხვევაში. ამ მიზნით საქართველოს სანაპიროზე გადმოსხეს 40 კაცი ერთ-ერთი ადგილობრივი გავლენიანი პირის სარეკომენდაციო წერილით, რომელიც უნდა გადაეცათ იმერთა მეფის გიორგი მესამესათვის. გიორგი მესამემ თავის მხრივ, წერილი გადასცა ქართლის მეფეს, რათა იმ ორმოციდან ერთ-ერთს დახმარებოდა, დანარჩენი 39 კი გადასცა თურქებს (თ. ტივაძე, 1971: 65) (ი. ცინცაძე ეჭვობს - ასეთ ბოროტებას იმერთა მეფე არ ჩაიდენდა კაზაკების მიმართ, თუმცა ნ. ნაკაშიძეს მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარება. მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგება სტუმართმოყვრობის ტრადიციებს, მაგრამ პოლიტიკურად ახსნადია. იხ. ნ. ნაკაშიძე, 1968:146). როგორც ცნობილია, იმერთა მეფე გიორგი მესამე მხარს უჭერდა კახთა მეფე თეიმურაზ პირველს. ორივენი ირანის მო-

წინააღმდეგეებად ითვლებოდნენ. ამიტომ იმერთა მეფეს არ სურდა თურქებთან ურთიერთობის გამწვავება (თ. ტივაძე, 1971: 65).

მოგვიანებით, 1630-იან წწ. იმერეთიც და სამეგრელოც იძულებულნი არიან შეცვალონ კაზაკებისადმი დამოკიდებულება. დადიანმა დაიმორჩილა აფხაზეთი - გურია და დაიწყო თავდასხმები იმერეთზე. 1632 წ. ლევან დადიანმა მისი და მიათხოვა როსტომ ხანს. ესეც პროირანული კურსის დემონსტრირება იყო (თ. ტივაძე, 1971: 67). ცხადია, ამას მოყვა თურქთა გაღიზიანება და აგრესია. ლევან დადიანმა იცოდა, რომ აშკარა ანტითურქული პოზიცია სარისკო იყო, მით უმეტეს, რომ როსტომ მეფეს იმ ხანად არ ეცალა იმერეთისათვის. ამიტომ დადიანმა კორექტირება შეიტანა საკუთარ პოლიტიკაში. ის ყოველთვის არ უჭერდა მხარს კაზაკებს. პირიქით, მისი ბრძანებით ადამიანებს იჭერდნენ, აპატიმრებდნენ, მონებად ჰყიდდნენ, სულთანს უგზავნიდნენ. ცხადია ლევან დადიანს ესმოდა კაზაკების ანტითურქული ბრძოლის მნიშვნელობა, მაგრამ ანგარიშგასაწვევი იყო თურქთა რეაქციაც.

ლევან დადიანის მზარდი როლის პირობებში იმერთა მეფე ალექსანდრე პირველი ფიქრობს კაზაკების მოწვევას სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ (თ. ტივაძე, 1971: 70), თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ ეს იდეა მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ქართულ-უკრაინულმა ურთიერთობებმა ახალი შინაარსი შეიძინა ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური ემიგრაციის შემდეგ. იგი უპირატესად კულტურულ ხასიათს ატარებდა. ბევრმა ქართველმა თავისი ბედი უკრაინას დაუკავშირა. ამ ორი ხალხის კულტურათა დამაკავშირებელ ხიდად იქცა დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება. მე - 19 საუკუნიდან ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა. კავკასია, რომელსაც ალექსანდრე პირველმა „თბილი ციმბირი“ უწოდა იმპერიისათვის მიუღებელი ელემენტების გადასახლების ადგილად იქცა (ნ. შალუტაშვილი, 1971:73). აღნიშნულის დასტურად დეკაბრისტების მაგალითიც კმარა. ბევრი უკრაინელი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში. მაგ. **პეტრე კოტლიარევსკი** (დაიბადა 1782 წ) მონაწილეობდა დერბენტთან, ახალქალაქთან გამართულ ბრძოლებში. იგი ხელმძღვანელობდა ეგერთა ასეულს, მიენიჭა გენერლის სამხედრო ჩინი. გარდაიცვალა ყირიმში 1852 წ. კოტლიარევსკი კავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა (ნ. შალუტაშვილი, 1971:74).

ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა 1812 წ. ომის გმირს **ბ. კანდიბას**. 1826 წლისათვის იგი სათავეში უდგას თბილისის საარტილერიო გარნიზონს. მონაწილეობდა თურქმენ ჩაის ტრაქტატის შემუშავებაში ირან-რუსეთს შორის, სავარაუდოდ ესწრებოდა გრიბოედოვ-ჭავჭავაძის ქორწილსაც. შესაძლოა შეხვედროდა გრიბოედოვსაც. გარდაიცვალა 1829 წელს (ნ. შალუტაშვილი, 1971:75).

უკრაინელებთან კავშირი ჰქონდა **გრ. ორბელიანსაც**. იგი იცნობდა გენერალ **გ. გურკოს**, **კ. პანჩენკოს**, **პ. კრაფჩენკოს**. 1832 წ. შეთქმულთა მონაწილეებს შორისაა უკრაინული წარმოშობის დუშეთის უეზდის ისპრავნიკი **დ. პაუშენკო**. იგი შეთქმულებს აწვდიდა ინფორმაციებს საერთაშორისო ვითარების შესახებ, აძლევდა რჩევებს, რეკომენდაციებს უწევდა ახალ წევრებს, მონაწილეობდა გეგმების განხილვაში (ნ. შალუტაშვილი, 1971:77).

უკრაინელებთან დაკავშირებული იყო **ნ. ბარათაშვილიც**. მასთან ერთად მსახურობდა **ი. იფჩენკო**. ბარათაშვილი ხვდებოდა მალესკოს, ფ. გავრი-

ლენკოს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარათაშვილის მეგობრის ლევან მელიქიშვილის და ეკატერინე (ნ. შალუტაშვილი, 1971:77). არაერთი უკრაინელი იყრიდა თავს **ალ. ჭავჭავაძის სახლში გამართულ ლიტერატურულ შეხვედრებზე.**

საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ტარას შევჩენკომ.** იგი ორივე ხალხს მოუწოდებდა ერთობლივად ებრძოლათ ცარიზმის კოლონიური ინტერესების წინააღმდეგ. დიდ კობზარს 1911 წელს შეხვედრია ქართველი პოეტი **ა. წერეთელი,** რომელიც გაზეთ „ხაკავკაზიში“ გამოქვეყნებულ წერილში დეტალურად აღწერს პროფ. კოსტომაროვას ბინაში დიდ პოეტთან შეხვედრის პერიპეტეებს. მათი შეხვედრით ხაზი გაესვა თავისუფლების იდეის ერთიანობას. მათ ისაუბრეს ღამის სამ საათამდე. შევჩენკომ მოისმინა რა ქართველთა ისტორიული ბედის შესახებ, უთქვამს: „რა ბევრი გვაქვს საერთო ჩვენს ხალხებსო“. ერთმანეთს დავშორდით როგორც მეგობრები იმ იმედით, რომ კვლავ შეხვედებოდითო, წერს აკაკი, თუმცა შემდგომი შეხვედრა ვეღარ მოხერხდა (პაიჭაძე გ., 1971:101). მოგვიანებით, 1914 წ. 15 აპრილს თბილისში აღინიშნა ტარას შევჩენკოს 100 წლის იუბილე.

ნიშანდობლივია, რომ „დიდი კობზარის“ **ნაწარმოებთა პირველი მთარგმნელი - ქართველი ნიკომ ლომოური იყო,** რომელიც იმ დროს სწავლობდა კიევში. ნ. ლომოურმა 1877 წ. გადათარგმნა პოემა „ნაიმისკა“. ქართველი სტუდენტები აწყობდნენ შემოქმედებით საღამოებს, რომელთა „მნიშვნელობა შესამჩნევად გაიზარდა“. ქართული პრესა იუწყებოდა: „ქართულმა საღამოებმა მოიპოვეს სრული მოქალაქეობა რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში“.

ქართველ-უკრაინელთა მეგობრობაზე მეტყველებს ის გულითადი შეხვედრა, რომელიც აკაკის მოუწვევს 1898 წ. მთელი ხარკოვის თეატრი ესალმებოდა პოეტს. როცა აკაკი გარდაიცვალა - 1915 წ. 26 იანვარს, კიევის სტუდენტმა ახალგაზრდობამ საქართველოში გამოაგზავნა ტელეგრამა, რომელშიც აღნიშნული იყო აკაკის დედაწლი და უკრაინელთა წუხილი.

საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცნობილი უკრაინელი მწერლის **ლესია უკრაინკას** შემოქმედებითი მოღვაწეობა და ცხოვრებისეული გზა. 1905 -1907 წწ. რევოლუციის დღეებში იგი იმყოფებოდა საქართველოში და თანაუგრძნობდა ქართველებს (პაიჭაძე გ., kiev, 1971:105).

კულტურული ურთიერთობების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა **უკრაინის თეატრალური ჯგუფის გასტროლებმა,** რომელიც 1889 წლიდან რეგულარულად ტარდებოდა საქართველოში. დიდი წარმატებები ხვდა თეატრის უკრაინელ მსახიობებს, რეალისტური ხელოვნების ოსტატებს, საკუთრივ **ი. დრეისიგს, ტ. პრიაჟენკოვსკაიას** და სხვებს. მართალია შემადგენლობას „რუსულ ჯგუფს“ უწოდებდნენ, მაგრამ მათში ბევრი იყო უკრაინელი. უკრაინული თეატრის რეპერტუარი თანაარსებობდა გ. ერისთავის მიერ აღდგენილ თეატრთან (გაზ. „კავკაზი“, 1846, ნომერი 2).

ქართველებისა და უკრაინელების ურთიერთობებში დიდი როლი ითამაშეს **ქართველმა სტუდენტებმა.** ცარიზმი ყოველნაირად ებრძოდა განაპირა მხარეებში ყოველივე ეროვნულის გამოვლინებას, ენას, კულტურას, არ იძლეოდა ეროვნული უმადლესი სასწავლებლების დაარსების შესაძლებლობას. ამიტომაც იყო, რომ სწავლას მოწყურებული ქართველი ახალგაზ-

რდები რუსეთში მიემგზავრებოდნენ. ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობდა კიევში, ხარკოვში, ოდესაში. მათ შორის იყვნენ: **ი. გოგებაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ჩიტაძე, ნ. ლომოური, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი.** რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტურ გამოსვლებში. ისინი არა მარტო მონაწილეობდნენ უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ უწევდნენ პოპულარიზაციას უკრაინულ კულტურას. ოდესაში ჩამოყალიბდა ქართული სათვისტომო, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ **იასონ მოსეშვილი, სიმონ ავალიანი** და სხვები.

ოდესის სახელმწიფო არქივთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე **2013 წლის ნოემბერში აჭარის საარქივო სამმართველოში შემოტანილი იქნა დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები**, რომლებშიც მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ სტუდენტთა საქმიანობის შესახებ მეტად საინტერესო დოკუმენტებია წარმოდგენილი. მათ შორისაა სათვისტომოს წესდება. დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება ფოთი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალზე შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას. საქმეში წარმოდგენილია მასალები რომელიც შეეხება კავკასიის რკინიგზის ტექნიკური სამმართველოს მიერ გაცემულ მოწმობებს, ამ სფეროში დასაქმებული პირების დახასიათებებს და სხვა საკითხებს. ერთ-ერთი დოკუმენტი ეხება შუამდგომლობას ლუკა ხუჭუასათვის სავაჭრო ფლოტის ხომალდების მართვის მოწმობის გაცემის თაობაზე. საუბარი არის ინჟინერ ედ. გარისის დამსახურებაზე აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს, ასევე მისი და საგზაო ტექნიკოსის პეტუხოვის მიმოწერები (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №1-6).

დოკუმენტების მეორე ნაწილი ეხება რკინიგზისა და სარკინიგზო სადგურების მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობის საკითხებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კავკასიის სარკინიგზო სადგურებზე სიგნალიზაციის დამონტაჟების საკითხებთან დაკავშირებით. აქვე ვხვდებით მიმოწერებს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან. საქმეშია ასევე მომსახურე პერსონალის სია (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №1-2).

ოდესის არქივიდან შემოტანილ დოკუმენტებში სხვა ბევრი საინტერესო ინფორმაციააა წარმოდგენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **ოდესაში მყოფი ქართველების საზოგადოება „საქართველო“-ს საქმიანობა**. საქმეში წარმოდგენილია ამ ორგანიზაციის **წესდება**. რომელშიც ნათლად იკვეთება ამ ორგანიზაციის მიზნები და სამოქმედო პროგრამა (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №6).

საზოგადოებას „საქართველოს“, როგორც ერთ-ერთი სერიოზული ორგანიზაციის ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი აერთიანებდა მხოლოდ დამსახურებულ პირებს, განურჩევლად სქესისა და რელიგიური მრწამსისა (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №6).

საზოგადოების წევრად გახდომა შესაძლებელი იყო მინიმუმ 2 ადამიანის წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე. განსაზღვრული იყო ორგანიზაციის საწევრო გადასახადის ოდენობაც (გაწევრიანების 5 რუბლის, ხოლო წლიური საწევრო შენატანი 3 რუბლის ოდენობით). ის პირი, ვინც ერთდროულად გადაიხდიდა 100 რუბლს, თავისუფლდებოდა ყოველწლიური გადასახადისაგან და ითვლებოდა საზოგადოების მუდმივ წევრად. გაწევრიანებისათვის წინასწარ გადახდილი თანხა ორგანიზაციაში მიღებაზე უარის

თქმის შემთხვევაში უკან უბრუნდებოდა შესაბამის პიროვნებას (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №6).

საზოგადოებას გააჩნდა თავისი ბლანკი და ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრული იყო „ქართული საზოგადოება „საქართველო“ - „საქართველო“ ოდესაში“.

წარმოდგენილ დოკუმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებას „საქართველო“-ს დამფუძნებელთა შესახებ ინფორმაციები. მათ შორის დასახელებული არიან: პეტრე გიორგის ძე მეღიქოვი, ევსევია ილარიონის ძე უშვერიძე, მიხეილ ნიკოლაის ძე ჯუღელი, იოველია გრიგორის ძე ქუთათელაძე, იასონ პავლეს ძე მოსეშვილი, სიმონ ლუკას ძე ავალიანი (ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №6).

სამწუხაროდ, ოდესის არქივიდან შემოტანილ დოკუმენტებში აღნიშნული პიროვნებების შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება, მაგრამ ზემოთ განხილული წესდება ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ოდესის ქართული დიასპორის აქტიურ საზოგადოებრივ - კულტურული საქმიანობის შესახებ - ქართველთა ერთიანობისა და ქართულ-უკრაინული ურთიერთობის განმტკიცების თვალსაზრისით.

აქტიურ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ საქართველოში მყოფი უკრაინელებიც. ამ თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულეს „კირილესა და მეთოდეს საიდუმლო საზოგადოების“ წევრებმა, რომელიც აღმოცენდა და საქმიანობდა კიევში 1846-1847 წლებში. საზოგადოების განადგურების შემდეგ ზოგიერთი კირილე-მეთოდისტი ბედმა კავკასიაში გადმოსროლა. მათ საქართველოში გააგრძელეს სამეცნიერო-კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობა (გ. სერგიენკო, 1971: 84-85). საქართველოში დიდხანს მასწავლებლობდა საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი წევრი და ხელმძღვანელი ნიკოლოზ გულაკი. მასთან იყო პოლონელი ზაგორსკი ლეონარდო. უკრაინელმა რევოლუციონერებმა საქართველოში მეორე სამშობლო აღმოაჩინეს.

გულაკი დაიბადა 1882 წ. პოლტავის გუბერნიის გულაკოვკაში. 1844 წ. დაამთავრა დერპტის უნივერსიტეტი. გამეფებული სქოლასტიკის მიუხედავად მან მიიღო ენციკლოპედიური განათლება. ფლობდა რამოდენიმე ენას. გულაკმა უნივერსიტეტიდან გარეთ გადმოიტანა რევოლუციური განწყობა (გ. სერგიენკო, 1971: 84-85). ის მოითხოვდა სლავების გაერთიანებას და რესპუბლიკური წყობის დამყარებას, უბრალო ხალხისათვის სკოლების დაარსებას და მათთვის წიგნების გამოცემას. გულაკი ხალხს განაწყობდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. საიდუმლო ორგანიზაციაში გულაკი ენერგიულად გამოხატავდა რადიკალურ აზრებს, მხარს უჭერდა რევოლუციას, მონაწილეობდა მთავარი იდეოლოგიური დოკუმენტის „უკრაინელი ხალხის ყოფის წიგნები“ (ღვთის კანონები) მომზადება-გავრცელებაში (გ. სერგიენკო, 1971:88). კირილე-მეთოდისტთა კრებებზე მონაწილეობდა პოლონელი სტუდენტი ლეონარდო ზაგორსკი. უანდარმერიამ აღმოაჩინა კირილე-მეტოდისტთა საზოგადოება. გულაკი დააპატიმრეს. მან არ გასცა თანამოაზრეები. სამწლიანი პატიმრობის შემდეგ გულაკი გააგზავნეს პერმში. გულაკმა სრული თავისუფლება მხოლოდ 12 წლის შემდეგ მიიღო. მიიღო. 1859 წ. იგი გადავიდა ოდესაში, 1863 წლიდან კი კავკასიაშია. 36 წელი იცხოვრა საქართველოსა და აზერბაიჯანში. გულაკი გარდაიცვალა 1899 წ. სამეცნიერ-

რო შრომებით მან კავკასიოლოგებს დიდი საქმე გაუკეთა. მან შეისწავლა ქართული ენა, კულტურა, ლიტერატურა და იქცა ქართული კულტურის ცნობილ მეკლავარად (გ. სერგიენკო, 1971: 91). მას ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა „ინდოევროპულ ენებში ქართული ენის ადგილის შესახებ“, სადაც გამოთქვა ახალი შეხედულებები ამ საკითხზე (გ. სერგიენკო, 1971: 93). მისი მოღვაწეობა შესაბამისად შეაფასეს აკაკიმ და ილიამ, ასევე ი. გოგებაშვილმა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისში (გ. სერგიენკო, 1971: 95).

ქართველებსა და უკრაინელებს აერთიანებთ **საბრძოლო თანამეგობრობის უნიკალური მაგალითები**. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეორე მსოფლიო ომში ამ ორი ხალხის წარმომადგენელთა ერთობლივი ბრძოლა ფაშიზმის ასალაგმავად. ქართველები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვასა და ჰაერში. გმირობის და საბრძოლო ხელოვნების მაგალითები აჩვენებს ქართველმა მფრინავებმა და საჰაერო სამხედრო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა: **ჭიჭიკო ბენდელიანმა, ა. დაცანიძემ, შ. ძამაშვილმა, გ. ჯაბადარმა, გ. ინასარიძემ, შ. ლებანიძემ, დ თავაძემ, ა. წურწუშიამ**. უკრაინის დედაქალაქის ცის ერთ-ერთი მთავარი დამცველი იყო **ჭ. ბენდელიანი, რომელსაც 1943 წ. 24 აგვისტოს მიენიჭა სსრკ გმირის წოდება**.

სასაზღვრო და თავდაცვით ბრძოლებში თავი გამოიჩინეს: **გენ-მაიორმა პ. აბრამიძემ** (მსროლელი დივიზიის მეთაური), **პოლკოვნიკმა შ. გოგოლიშვილმა, პოდპოლკოვნიკმა ვ. ქირიამ, საკავალერიო პოლკის მეთაურმა ა. ინაურმა, საარტილერიო პოლკის მეთაურმა ა. გიორგობიანმა, დივიზიის კომისარმა ნ. კალაძემ, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ვ. ციკოლიამ, პოლკის შტაბის უფროსმა ვ. ოგანეზაშვილმა, ესკადრონის ხელმძღვანელმა ა. ძიმისტარიშვილმა, ასევე ოფიცრებმა: ი. ადავაძემ, ა. ბობოხიძემ, ლილი ვასაძემ, ს. ვაშაკიძემ, ი. გაბუნია, შ. ზარიძემ, ა. ქამუშაძემ, ა კობახიძემ, გ. ლაბაძემ, გ. მაკარიძემ, მ. ნაცვლიშვილმა, კ. ტანტურიამ, სერჟანტებმა და ჯარისკაცებმა: ნ. ბუაძემ, ა. ბერელიძემ, ბ. ჯიქიმა, კ. კრავიშვილმა, მ. ესართიამ, ი. ციციშვილმა, გ. იახტაშვილმა და სხვებმა ( პაიჭაძე გ., 1971:105-106)**

ოდესის თავდაცვით ბრძოლებში გმირობის მაგალითები აჩვენებს: **პოლიტმუშაკმა ი. ურუშაძე, მაიორმა გ. გამილაგდაშვილმა, კ. არზიანმა, დ. ვარდანაშვილმა, ა. ქათამაძემ, ი. კლდიაშვილმა, დ. ლაბაძემ, ა. მეტრეველმა, ი. მჭედლიძემ, დ. ფირცხალავამ, ა. თალაკვაძემ, გ. ხატიაშვილმა, შ. ხოჯანაშვილმა, ა. ჩხაიძემ, ზემდეგებმა: ი. დლონტმა, გ. ფადავამ, მ. ფორჩხიძემ, კ. კოხრეიძემ . უფროსმა მატროსებმა და მატროსებმა: მ. ბაქრაძემ, ბ. პატარიძემ, პ. უკლებამ. გ. ქირიამ, ბ. სირაძემ.**

უკრაინის სხვადასხვა ფრონტებზე მებრძოლ ქართველებთან ერთად მრავლად იყვნენ საქართველოდან წარგზავნილი პარტიზანებიც: **დ. ბაქრაძე (საბჭოთა კავშირის გმირი), პ. გვალია, გ. ტალახაძე** და მრავალი სხვა.

უკრაინელებისა და ქართველების ურთიერთობის ნათელი მაგალითია ამ ორი ხალხის წარმომადგენელთა მეგობრული თანაცხოვრება როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. **უკრაინელები საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდებიან მე-19 ს. პირველ ნახევარში**. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ (1801 წლიდან) საქართველოში დისლოცირებული იმპერიის

სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ უკრაინელებიც. ბევრი სამსახურის შემდეგ საცხოვრებლად საქართველოში რჩებოდა. ასეთი დასახლებები გაჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში (გომბორში, მანგლისში და სხვაგან), სადაც რუსებთან ერთად იყვნენ უკრაინელებიც. თუმცა ეს დასახლებები არ იყო ხალხმრავალი და დიდხანს ვერ იარსება (ვ. ჯაოშვილი, 1971:188).

**პირველი უკრაინელები, რომლებიც საქართველოში დასახლდნენ, იყვნენ ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და ჯარის მოსამსახურეები.** ისინი დროებითი მაცხოვრებლები იყვნენ, თუმცა მცირე ნაწილი ადგილზე რჩებოდა და პირველი ნაკადისაგან განსხვავებით ქალაქში სახლდებოდა. მე-19 ს. მეორე ნახევარში საქართველოში განვითარებული მოვლენების, კერძოდ მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლების (მუჰაჯირობა) შედეგად გაჩნდა თავისუფალი მიწები. **შესაბამისად გაჩნდა რუსულ-უკრაინული, სომხური და ბერძნული სოფლები.** კაპიტალიზმის განვითარება კიდევ უფრო უწყობდა ხელს ამ პროცესებს, განსაკუთრებით სამრეწველო ქალაქებში: ბათუმში და ფოთში (ვ. ჯაოშვილი, 1971:188).

რუსეთის იმპერიის პირველი საყოველთაო აღწერის მიხედვით - 1897 წლისათვის საქართველოში ცხოვრობდა 8500 უკრაინელი. მათგან 64,4 პროცენტი ქალაქად, 35,6 პროცენტი სოფლად. გასათვალისწინებელია, რომ 1897 წ. აღწერაში ეროვნულობას მიკუთვნებულნი არიან მშობლიური ენის მიხედვით. 8500 კაცი მშობლიურად თვლიდა უკრაინულს, თუმცა სავარაუდებელია, რომ უკრაინელთა ნაწილი რუსულსაც თვლიდა მშობლიურ ენად (ვ. ჯაოშვილი, 1971:188).

უკრაინელთა შემოსვლა გრძელდებოდა მე-20 საუკუნეშიც, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მათმა გარკვეულმა ნაწილმა დატოვა საქართველო. 1926 წლისათვის საქართველოში ცხოვრობდა 14 356 უკრაინელი (ვ. ჯაოშვილი, 1971:188). უნდა ვივარაუდოთ, რომ უკრაინელთა სტიქიური შემოსვლა შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა, თუმცა შენელებული ტემპებით

1927 წლიდან იწყება უკრაინელთა შემოსახლების ახალი ეტაპი. 1926 წლიდან 1939 წლამდე საქართველოში უკრაინელთა რაოდენობა გაიზარდა 3,2-ჯერ და მიაღწია 46 ათასს (ვ. ჯაოშვილი, 1971:188-189). უკრაინელი მოსახლეობის ზრდას განაპირობებდა მრეწველობის განვითარება. ახალმა სამრეწველო ობიექტებმა მოიზიდა კვალიფიციური სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიებიდან. მნიშვნელოვანი იყო საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სუბტროპიკული მიმართულების ახალი მეურნეობების შექმნა.

უკრაინელთა შემოსვლის შემდგომი ეტაპი მეორე მსოფლიო ომს, ფაშისტების მიერ უკრაინის ოკუპაციას უკავშირდება. ომის შემდეგ მათი ნაწილი უკან დაბრუნდა, ნაწილი კი დარჩა, თუმცა ისინი არავის აღურიცხავს (ვ. ჯაოშვილი, 1971:190). 1959 წ. უკრაინელთა რაოდენობა 1939 წელთან შედარებით გაიზარდა 13,5 პროცენტით (ვ. ჯაოშვილი, 1971:191).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებს შორის ბევრი უკრაინული წარმომავლობისაა. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულებზე. განსაკუთრებით ბევრი ჩამოსახლდა ყუბანიდან 30-იან წწ. ამასთან საქართველოში მიმდინარეობდა უკრაინელთა ასიმილაცია-გათქვეფა არა ქართველებში, არამედ რუსებში. 1959 წ. აღწერის

მიხედვით საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა 43 პროცენტი მშობლიურ ენად რუსულს ასახელებს. მნიშვნელოვანია რუსულ-უკრაინული, ასევე უკრაინულ-ქართული შერეული ქორწილებიც (ვ. ჯაოშვილი, 1971:192).

**უკრაინელები ცხოვრობენ აჭარაშიც.** ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად უკრაინელების (ისევე როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ქართველების) რაოდენობა შემცირდა მთელ საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც. 2002 წლის აღწერის მიხედვით აჭარაში უკრაინელთა რაოდენობა შემცირდა 1056 კაცამდე. მათგან **ქალაქ ბათუმში ცხოვრობს 770 უკრაინელი** (საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. 1, თბ. 2003). უკრაინელები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და აგრძელებენ ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩვენმა წინაპრებმა ჩაუყარეს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასს ცსა, ფონდი რ-59, ანაწერი 1, საქმეები: № 63; № 87; № 88; № 90; № 96; №97;
2. ასს ცსა, ფონდი ი-88, ანაწერი 1, საქმე №1-6;
3. ნაკაშიძე ნ., საქ-ო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა მე-17 ს. პირველ ნახევარში, თბ. 1968;
4. პაიჭაძე გ., ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის ისტორიული ფესვები (რუსულად). Из Истории Украинско-Грузинских связей. Киев, 1971;
5. სერგიენკო გ., კირილე მეთოდისტების მოღვაწეობა საქართველოში მე-19 ს. 60-80-იან წლებში. Из Истории Украинско-Грузинских связей. Киев, 1971;
6. საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.1, თბ. 2003;
7. ტივაძე თ., დას. საქ-ს მოსახლეობის და დონის და ზაპოროჟიეს კაზაკების ურთიერთობა მე-17 ს-ში (რუსულად). Из Истории Украинско-Грузинских связей. Киев, 1971;
8. შალუტაშვილი ნ., საქ-ო-უკრაინის კულტურული კავსირები მე-19 ს. პირველ ნახევარში (რუს. ენაზე). Из Истории Украинско-Грузинских связей. Киев, 1971;
9. ცინცაძე ი., უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1954;
10. ჯაოშვილი ვ., უკრაინელების განსახლება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე (რუსულად). Из Истории Украинско-Грузинских связей. Киев, 1971;

**პერიოდული პრესა:**

1. გაზ. „კავკაზი“, 1846, ნომერი 2;
2. გაზ.„ივერია“, 1879, ნომერი 3, მარტი;

**Nato Kikava**

**Zaza Burkadze**

*Some issues of Georgia-Ukraine relationships*

*(According to the documents protected in Archives Administration)*

*Summary*

Georgia-Ukrainian cultural-historical and military-political relationships have a long history. Still in the era of feudal relations between Georgia and Kiev formed relationships. The religious community has contributed to the ideological unity of interests. In article, based on rich literal and archival data are analyzed important issues of these two country's cultural and scientific relations.

## **МОЛЧАНИЕ ЖЕНЩИН И КУЛЬТУРА «ИЗБЕГАНИЯ» НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ МОЛЧАНИЕ ЖЕНЩИН НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ: ТРАДИЦИИ И СОВРЕМЕННОСТЬ.**

До середины XX века, а частично и в настоящее время, у всех горских и кочевых народов Северного Кавказа существовал обычай избегания, по которому невестка, приходя в семью мужа, не имела права разговаривать со старшими родственниками. Особенно строго соблюдалось молчание женщины в отношении старших братьев мужа. Происхождение этого обычая уходит корнями в древность, когда материнский род уступал место отцовскому, и женщина, приходя в чужой род, подвергалась дискриминации.

Обычай избегания отмечали в своих произведениях путешественники, посещавшие Кавказ в XVII-XVIII вв. По сообщениям католического монаха д'Асколи, бывшего на Кавказе в первой половине XVII в., образ жизни замужней женщины значительно отличался от того, какой она вела до выхода замуж. Вступивши в брак, она долгое время даже не показывалась родственникам. Потом молодую женщину принимали в дом и дарили подарки, но ей не разрешено было говорить. Только спустя еще год она приобретала это право (д'Асколи Е.Д. 1974:65).

Академик П.С. Паллас, посетивший Кавказ в конце XVIII в., писал: «Молодые люди обоих полов вольны встречаться и принимать участие в забавах; женщины не застенчивы, не скромны; при сватовстве черкесы придают большое значение званию;... Когда сын или дочь женится, они не осмеливаются являться первый год перед своим отцом или матерью до рождения ребенка. Муж посещает свою молодую жену долгое время только тайком, влезая в окно ее комнаты. Он никогда не присутствует, когда она принимает гостей; он не любит, когда ему говорят о ней и о детях и считается даже оскорбительным, когда у него спрашиваются о здоровье жены» [Паллас П.С., 1803:221-222].

Интересно, что путешественники XVI – XVIII вв., хотя и упоминают обычай избегания, описывают даже с некоторым удивлением свободное поведение кавказских женщин. Подчеркивает не особенную стеснительность девушек в отношении к иностранцам Э.Д. д'Асколи. По его словам, дочери хозяина, даже самые благородные, не только не прятались от гостя, но целовали ему руки и заботились о чистке его платья. До замужества девушкам разрешалось бывать на обедах и всяких празднествах (д'Асколи Э.Д. 1974:64)

Немецкий ученый А. Олеарий, побывавший на Кавказе в первой половине XVII века, отмечает у кавказских женщин «нахальное выражение лица, которое приписывается древним амазонкам». Олеарий пишет, что они были жадны и бойки, выпрашивая подарки. Описывает, как девушки выходили навстречу незнакомцам, махали, приглашали в дом. Автор подчеркивает, что они не стеснялись, когда кто-то, трогая и осматривая их украшения, свисавшие с шеи ниже груди, касался рукой голого тела. Им свободно разрешалось беседовать с гостями и оставаться с ними наедине, но, тем не менее, жены оставались верны своим мужьям (Олеарий А. 1906:83-84). Многие путешественники XVII-XVIII вв. отмечают, что женщина осознавала полное доверие со стороны своего мужа и хранила ему верность.

Очень либеральными кажутся путешественникам также супружеские отношения горцев XVII и XVIII столетий: если муж застал свою жену с любовником, он выходил, ничего не говоря, и никогда не упоминал об этом. Жена поступала точно так же. Если муж первым жаловался на свою жену местному правителю, ее продавали и давали мужу новую. То же случалось и с мужем, если то жена приходила жаловаться первой. [Таверне Ж.Б. 1718:81]. Исследователь нарративных источников по истории Кавказа И.М.Кула, считает, что с сегодняшней точки зрения эти правила свидетельствуют о равноправии мужчин и женщин в черкесском обществе в этот период. Для сравнения она указывает, что в XIX в. по адатам (обычному праву) горцев муж, застающий жену с любовником, имел право убить обеих на месте безнаказанно. (Кула И.М.. 2014:106).

Распространение среди народов Кавказа ислама с его требованиями соблюдения скромности и застенчивости женщинами дало новый импульс бытованию обычаев избегания и молчания женщин. Молчание женщины начиналось после того, как она была засватана. Разговорный запрет у народов Дагестана назывался «держат язык».

При необходимости, невестка передавала сообщение или просьбу свекрови через кого-либо из детей. В строгих семьях это ограничение длилось всю жизнь, в других – невестке разрешали говорить с родителями мужа после рождения ребенка. Сначала невестка начинала говорить со свекровью, много позже – со свекром. У многих народов (например, кумыков) разрешение невестке говорить происходило в торжественной обстановке и сопровождалось обменом подарками.

У народов Дагестана происходили специальные обряды снятия запретов. Женщины приходили в дом невесты и по очереди обнимали ее. Старшая из родственниц жениха первой заговаривала с невестой и просила ее принести воды. Получив пиалу с водой, гостя спрашивала невесту: «пить мне?». Невеста молчала, вопрос трижды повторялся, и только потом невеста отвечала: «пей». Выпив, пожилая женщина произносила ритуальную фразу, желая невесте, чтобы та была так уважаема, как нужна людям вода, и желала рождения сына. После чего невесте давали деньги и надевали кольцо.

Запреты и избегания не прекращались и после окончания свадебной церемонии. Первые месяцы после женитьбы муж старался приходить в комнату молодой жены тайком, незамеченным. У некоторых народов молодую жену первое время селили в доме родственников, и муж влезал к ней тайком в окно, стараясь уйти до рассвета. У ингушей, например, после появления детей жена с детьми располагалась в хозяйской половине дома, а муж - в отдельной комнате или в кунацкой. Эти обычаи со временем упрощались, но не исчезали полностью.

Между мужем и женой сохранялось ограничение в общении, они не имели права разговаривать в присутствии старших родственников, а также обращаться друг к другу по имени. Избегание проявлялось и в том, что мужу и жене не полагалось находиться в одном помещении дома, беседовать, есть за одним столом, оставаться наедине. Известный этнограф В.Ф. Миллер писал в XIX веке об осетинах: «муж часто сильно любит жену, но вместе с тем считает позором, если его застанут с ней наедине, и при посторонних, встречаясь с женой, не решается с ней заговорить». Супруги при посторонних не могли называть друг друга «мужем» и «женой» или по имени. При необходимости как-то назвать друг друга говорили «он», «она», «хозяин», «живущая в доме», «ваша мать», «ваша сноха» и т.п. Если необходимо было окликнуть супругу, муж кричал: «ей!»

Многие офицеры Кавказской армии оставили нам интересные описания обычаев и быта горцев XIX в., эти свидетельства современников весьма ценны, так как горцы не имели письменности и соответственно письменной истории. К.Ф. Сталь, служивший на Кавказе в середине XIX в. писал об обычаях черкесов : «Молодой муж не позволяет себе видеть жену днем, а непременно ночью и то украдкой. Видеть жену днем, входить к ней в саклю и разговаривать с ней в присутствии других может себе позволить пожилой простолюдин, а князь и дворянин – никогда». (Сталь К., 2011:119). «Даже мужу считается неприличным быть днем с женой, обыкновенно только вечером он входит к ней», - вторит ему генерал Д.Анучин (Анучин Д., 2011:195)

Избегание существовало и между мужем и родителями его жены, а отдельные элементы этого обычая распространялись на родителей и детей. Так, горский мужчина не мог брать на руки своих маленьких детей, играть с ними, так как это считалось не мужским делом. Отчасти этот обычай можно объяснить тем, что мужчина всегда должен был быть готов обнажить оружие и встать на защиту семьи. Многие обычаи горцев возникли в условиях военизированного быта, когда до присоединения к России война «всех против всех» была обычным состоянием.

Замечательный осетинский поэт и художник второй половины XIX в. К.Хетагуров писал: «Только в самом интимном кругу (жены и детей) или с глазу на глаз позволительно отцу дать волю своим чувствам и понынчить, приласкать детей. Если осетина-отца в прежние времена случайно заставляли с ребенком на руках, то он не задумывался бросить малютку куда попало... Я не помню, чтобы отец назвал меня когда-нибудь по имени. Говоря обо мне, он всегда выражался так: где наш сын? Не видел ли кто нашего мальчика?» Хетагуров К. Л., 1960:339-340).

Обычаи избегания не являются уникальными кавказскими обычаями, они известны у народов Севера и других регионов. Однако их длительное, до настоящего времени существование позволяет говорить о том, что эти древние правила поведения встроились в новую действительность, продолжая существовать и в 19, и в 20 веке, несмотря на изменения общественного строя. Это позволяет сделать вывод о том, что функции этих обычаев менялись, несмотря на сохранение старой древней формы. Горские семьи жили очень скученно, часто вся большая семья находилась в одном помещении, особенно зимой, поэтому женское молчание предотвращало семейные ссоры. Обычай избегания, который ограничивал общение между родственниками мужа и жены, старшими и младшими, помогал не допускать ссор и конфликтов в семье. И эти обычаи помогали сохранить стабильность и порядок в горском социуме.

Поддерживался обычай избегания калымным браком, когда за невесту платили ее родителям выкуп, и она становилась, фактически, собственностью семьи мужа. Горянка вела замкнутый образ жизни: она не участвовала в полевых работах, ограничиваясь только работой по дому, не принимала никакого участия в общественных делах селения, даже в плане обсуждения.

Даже в начале XX в. по адатам – обычному праву горцев - женщина не являлась дееспособной и правоспособной, то есть не могла иметь собственность, заключать сделки, вести торговлю и т.п. Даже в суде женщина не могла выступить в качестве свидетеля, исключения составляли лишь дела, касающиеся чести женщины, случаев насилия над ней. Однако в этом случае свидетельство женщины должен был подтвердить мужчина. В начале XX в. условия жизни меняются даже в горных аулах, но обычаи избегания и женского молчания продолжают строго соблюдаться.

Женщина не могла самостоятельно посетить торговую лавку, обратиться к врачу, так как все эти действия подразумевали ее разговор со старшими мужчинами. В конце XIX – начале XX вв. у некоторых народов Северного Кавказа широкое распространение получил сифилис, распространявшийся бытовым путем. Это было связано не только с низким уровнем гигиены, но и с молчанием женщин, которые скрывали болезнь, стеснялись обратиться к врачу.

Этот обычай мешал социализации женщин в период начавшейся модернизации общества в 20-е гг. XX в. Женщины не могли пойти в магазин, поступить в учебное заведение, заниматься трудом вне дома, выступить на собрании и т.п. Все эти действия противоречили традиционной горской культуре и этикету поведения. Поэтому советские органы власти организовали широкомасштабную кампанию по «раскрепощению горянки», привлечению ее к общественной деятельности, образованию, культурной жизни. В магазинах, открытых в аулах, стали определять «женские» и «мужские» часы, чтобы женщины не сталкивались с чужими мужчинами в общественном месте. Стали организовываться специальные женские артели. Русские врачи, приезжавшие в аулы, стали учить национальные языки, чтобы женщины, которые в большинстве не знали русского, могли посетить врача без переводчика, в качестве которых обычно выступали мужчины. В театрах и клубах организовывали постановки «Суд над горянкой», где обсуждали доводы «за» и «против» новых веяний в общественной жизни, в частности приобщения горянок к общественному труду.

Серьезной проблемой для включения женщин в общественную жизнь стало отсутствие у них теплой одежды. Традиционный женский костюм народов Кавказа не предусматривал теплой верхней одежды. Зимой женщина могла выйти из дома только во двор или за водой, накинув несколько шалей и платков. Правда, у княгинь бытовали платья, подбитые беличьим мехом, но это было исключением. В таких условиях о том, чтобы пойти на работу или на собрание, не могло быть и речи. Советские власти выделили солидную сумму денег на проведение в 20-е гг. XX в. кампании «Пальто – горянке». Вначале женщинам из бедных семей выдавали готовые пальто, но мужчины их отбирали и носили сами, тем более, что эти пальто не соответствовали эстетически вкусам горских женщин. Советских и партийных работников обязали купить свои женам пальто. Потом стали выдавать ткань для самостоятельного пошива. Постепенно горские женщины стали приобщаться к работе вне дома и общественной жизни.

Такая политика дала свои плоды, однако обычай избегания не изжит окончательно до сих пор. Муж с женой не сидят вместе за столом в присутствии гостей, многие отцы не берут на руки детей, женихов и невест по-прежнему подыскивают родители.

Интересно отношение к этим обычаям в современной действительности. Так, по мнению исследователя С.Ш.Гаджиевой, «обычай избегания осознавался и истолковывался как выражение уважения друг к другу» (Гаджиева С.Ш., 1985:170). На молодежном сайте «Кавказ гостеприимный» в комментариях к статье о народных обычаях анонимный автор пишет: «Все эти традиции и неписанные законы очень полезны. И примечательно, что кавказцы соблюдают их и в наши дни». ([http://interkavkaz.info/703- \(15. 08. 2013\)](http://interkavkaz.info/703- (15. 08. 2013)))

Однако если обычаи избегания и молчания женщин все же постепенно исчезают, то насилие в отношении кавказских женщин до сих пор является «территорией молчания». Многие насильственные преступления против женщин и в

современном обществе рассматриваются как часть национальных обычаев. Это, прежде всего, похищение женщин с целью принуждения к замужеству. На Кавказе брак «уводом» был одной из традиционных форм заключения брачных союзов. Причем адаты различали кражу невесты с согласия родителей (что делалось для уменьшения свадебных расходов) и без такого согласия. В последнем случае похитителей преследовали братья девушки, и даже могла возникнуть кровная месть. Поскольку у девушки согласия на брак родители не спрашивали никогда, то в случае кражи невесты отношения выяснялись между семьями и, как правило, урегулировались с помощью уплаты калыма и возможного штрафа.

Советская власть вела борьбу с этой традицией. В Уголовном кодексе РСФСР была статья, предусматривающая наказание за «преступления, составляющие пережитки местных обычаев», в перечень которых входило и принуждение к браку. В современном УК России этой статьи нет, но Россия присоединилась к международной «Конвенции о ликвидации всех форм дискриминации в отношении женщин», 2 статья которой обязывает государство принимать меры для изменения обычаев и практик, которые представляют собой дискриминацию в отношении женщин. Статья 5 Конвенции обязывает государство также принимать меры с целью изменения социальных и культурных моделей поведения мужчин и женщин для искоренения предрассудков и упразднения обычаев, основанных на идее превосходства одного из полов. Статья 16 декларирует необходимость соблюдения права на свободный выбор супруга. Таким образом, правовые основы борьбы против дискриминации женщин имеются, отсутствует желание местных органов власти защищать женщин в подобных случаях.

Мотивы похищения невест на Кавказе разные, но, как правило, так поступают юноши, уверенные, что при официальном сватовстве они получают отказ. Лишь в редких случаях девушка настаивает на возвращении домой, обычно она мирится со своей участью под уговорами старших, в том числе и ее родителей, убеждающих дочь, что теперь она опозорена и не имеет больше шансов выйти замуж. По данным Национальной независимой комиссии по правам женщин и насилию в отношении женщин похищенных невест в Северо-Кавказском регионе тысячи, и местные жители заявляют, что половина всех браков начинается с похищения. Если на Западном Кавказе похищения являются, как правило, инсценировками, то в Ингушетии, Чечне и Дагестане они носят насильственный характер. Только в Дагестане за 2008 г. официально было зарегистрировано 180 случаев похищений. В этих республиках похищение женщин не считается преступлением, родственники редко обращаются в правоохранительные органы. (Территория молчания: права женщин и проблема насилия в отношении женщин в России. М., 2009:151).

Еще одно преступление против женщин, которое встречается в кавказском регионе – убийство чести. Девушку, которую семья считает опозоренной, могут убить ее братья или отец. Семья покрывает такое преступление, выдают подобные случаи за самоубийство. Известным фактом стал расстрел из автоматов в Чечне 6 молодых женщин, стоявших у дороги. Преступники, таким образом, боролись за нравственность, уничтожая женщин аморального поведения.

Характерно, что опрос общественного мнения показывает, что именно молодые люди не осуждают такие преступления, объясняя их любовью к детям и ответственностью за них. «Убивают только те, кто очень сильно любит свою дочь, чтобы она в будущем не совершила еще больше грехов» (Руслан, 32 г., Дагестан).

«Отец имеет полное право на свою дочь. Он имеет право и убить за порочность или за то, что она не девственница» (Абдулкамид, 26 лет, Ингушетия).

Таким образом, права человека на Северном Кавказе нередко вступают в противоречие с требованиями национальных традиций. Терпимость в этнических сообществах по отношению к определенным обычаям ставит национальную культуру выше жизни и достоинства женщин, что недопустимо в современном обществе.

### Литература:

Начало изучения этой группы туркмен в российской историографии практически совпадает со временем ее появления на территории Российской империи. Посвященные ей статьи, заметки, книги публиковались как в XIX – начале XX в., так и в советское время. Туркменам Ставрополя посвящена монография А.В. Курбанова, где подробно представлены основные этапы этнического развития этой группы и практически все аспекты характерной для нее традиционно-бытовой культуры: основные и подсобные хозяйственные занятия, поселения и жилища, одежда, пища, обычаи, обряды и верования, развлечения и игры. Здесь же опубликована обширная библиография изданий, где имеются те или иные сведения о ставропольских туркменах (Курбанов 1995). В последние годы вышли несколько работ О.И. Брусиной, написанные на основе новых полевых и архивных материалов (Брусина 2008, 2012, ), а также других авторов (Невская 2013; Соловьева 2013). Тем не менее, несмотря на значительный объем литературы по туркменам Ставрополя, некоторые аспекты их этнокультурного развития изучены пока еще недостаточно.

Данная статья написана на основе полевых материалов, собранных во время экспедиции в туркменские селения Туркменского (Шарахалсун, Кучерли, Кенджекулак) и Ипатовского (Большой, Малый и Нижний Барханчак, Юсуп-кулак) районов Ставропольского края в 2013 г. Для изучения имен, бытовавших у туркмен Ставрополя в конце XIX в., использованы материалы Государственного архива Ставропольского края (ГАСК): «Посемейный список аула Чур Туркменского приставства. Составлен в 1896 году» (Ф. 408. Оп. 1. Д. 1813), «Посемейный список аула Башанта-Трухменский, Трухменского приставства. Составлен в 1896 году, а отделен от аула Эдильбай в 1899 году» (Ф. 408. Оп. 1. Д. 1818).

---

<sup>3</sup> Работа выполнена по гранту РГНФ № 12-01-00235 (рук. О.И. Брусина)

В книге А.В. Курбанова интересующей нас теме уделено некоторое внимание. В частности, он отмечает существование у туркмен праздника в честь рождения ребенка «аттарчак» («дадим ребенку имя») и традицию выбора имени отцом, родственником, уважаемым в ауле человеком, муллой (Курбанов 1995: 171). По его справедливому замечанию, «наряду с общемусульманскими именами у северокавказских туркмен сейчас редко, а раньше значительно чаще были распространены имена, восходящие к доисламской традиции» (Курбанов 1995: 170). Судя по выявленным архивным материалам, подобные имена действительно были очень популярны в конце XIX в. Так, в ауле Чур встречались мужские имена Полта, Полтаполат, Полтабай, Полтанияз, Бекполат, Темирполат, Джанполат, Менглиполат; отмечено даже одно женское имя с подобным формантом – Полтакис (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1813). В ауле Башанта также были довольно распространены мужские имена Полта, Полтанияз, Полтаполат, Бекполат, Ханполат, Кунполат, Джанполат, Кенджеполат, Палташукур, Палтабек и др. (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1818).

Видимо, в связи с большой детской смертностью нередко давали имена, которые можно перевести как «Останься», с различными прибавлениями к нему. Так, в ауле Чур зафиксировано женское имя Тохтохан (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1813), в ауле Башанта – Токтасултан, Токтахан (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1818).

В архивных материалах часто встречаются женские имена с формантом «Огул» («мальчик», «сын»). Согласно нашим полевым материалам, в том числе собранным в Марыйской области Туркмении, там до настоящего времени сохранился обычай давать такие имена (Огул, Огулнабат, Огулнязик, Огулгерек – «надо сына» и др.), если в семье рождаются несколько девочек подряд, а сына нет. Так, в одной из семей, по сообщению нашего информанта, первым пяти родившимся девочкам дали имена Огулкурбан, Огулсона, Огулболды, Огултедж, Огулджемал, а родившихся за ними трех мальчиков назвали Бердымухаммед, Нурмухаммед, Гелдымухаммед (Полевые материалы автора, 2011 г. Туркмения, Марыйский велаят, с. Яхтыйол.). Видимо, аналогичный обычай был известен и туркменам Ставрополя. Так, в 1890-е годы в ауле Чур зафиксированы женские имена Огултогай (встретилось шесть раз), Огулбике, Огулай, Огулхан, в ауле Башанта – Огулхан, Огулдовлат/Огулдовлет, Огулстан, Огулменгли, Огулбике, Огулдонды.

Видимо, если ребенок рождался на свет с особыми приметами (родинка, родимое пятно – *хал*), это также отражалось в его имени. С этим, возможно, связана многочисленная группа имен (как правило, женских), которую можно перевести как «имеющий/имеющая родинку»: в ауле Башанта это женские имена Халлы, Халлы-Мерьем, Халисултан, Ораз-халлы, Халлы, Халлышекир, мужское имя Халнияз и др.

Многочисленной в конце XIX в. была группа туркменских имен с элементом Кендже/Гендже (младший). В ауле Чур зафиксированы только мужские имена с этим значением. В ауле Башанта наряду с мужскими были известны и подобные женские имена (Кендже, Кенджехан/Кенджихан, Кенджебике и др.). Как свидетельствуют информанты, подобные имена дают и сейчас младшим детям в семье.

Весьма продуктивным при образовании имен был формант «султан», причем главным образом это были женские имена (в Башанте – Султан, Аджасултан, Аксултан, Альмасултан, Шасултан, Халисултан, Курбансултан), и только изредка мужские (например, Султанмухамет). Подобное явление отмечается у кубанских ногайцев: здесь имена, включающие слово «хан», как правило, дают только девочкам – Муратхан, Залимхан, Кельдихан, Эркехан (Керейтов, 1991: 99–100).

В архивных материалах отражены случаи, когда имя умершего ребенка повторно давали новорожденному: так, в ауле Башанта в семье Корфалиева Джуманияза в 1898 г. умерла дочь Мерьем, и такое же имя дали девочке, родившейся в 1900 г. (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1818. Л. 14 об.)

Имена могли давать по дню недели, когда родился ребенок. В архивных материалах такие имена довольно многочисленны, большинство из них связано с пятницей – священным для мусульман днем (аул Чур – женские имена – Джумай, Джумайхан, Джуматотай; в ауле Башанта – женские имена Джумайбике, Джумайхан). Г.П. Васильева отмечала, что в Туркмении имена по названию месяцев мусульманского календаря были довольно частыми, причем их давали и мальчикам и девочкам, добавляя иногда в первом случае «кули» – «раб»: Курбанкули, Реджепкули, во втором – «гуль» – «цветок»: Курбангуль, Сапаргуль (*Васильева* 1969: 287–288).

Значительную группу составляли мусульманские по происхождению имена. Среди подобных мужских имен преобладали имена с элементом «Мухамед/Мухамет». Среди женских мусульманских имен следует отметить довольно часто встречающееся имя Фатма (Фатима, имя дочери пророка Мухаммеда).

Обычно детям в семье старались давать созвучные имена, или – реже – имена, начинавшиеся с одной буквы. Это касалось как женских, так и мужских имен. Так, в ауле Чур сестер звали Сейфиль-Мелек и Раиль-Мелек; Нуртотай и Джантотай; Альмахан и Менглихан. В ауле Башанта в семье Кочакова Баймухамета дочерям дали имена Кулистан и Халистан (ГАСК. Ф. 408. Оп. 1. Д. 1818. Л. 51 об.). Девочке могли выбрать имя, созвучное имени матери: мать Зейнельхан и дочь Гульхан (Там же. Л. 52). Данное явление – выбор для братьев и сестер близких по звучанию имен – отмечен и у других тюркоязычных народов, например, у ногайцев (*Керейтов* 1991: 99), челканцев (*Функ* 2000: 138), башкир (*Шакуров* 1980: 43–48), алтайцев (*Шатинова* 1980: 39–42).

Как свидетельствуют наши полевые материалы, и в настоящее время обряд имянаречения остается важным и значимым событием как для семьи, в которой родился ребенок, так и для ее ближайшего родственного окружения. В условиях туркменских селений Ставрополя – это довольно обширный круг, включающий двоюродных и троюродных родственников, а также родственников по свойству.

Обряд наречения именем сохранил тесную связь с мусульманской религией и проводится с обязательным участием муллы. Как правило, этот обряд устраивается на седьмой день, по возвращении матери с ребенком из роддома, и для мальчиков и для девочек, он практически одинаков у всех мусульманских народов Северного Кавказа. Приглашенный мулла в правое ушко ребенку «кричит» (по выражению информантов) *азан* (призыв мусульман к молитве), а затем произносит «От имени Аллаха нарекаю тебя ...» и называет выбранное заранее имя. В левое ушко мулла «кричит» *икамат* – призыв, который следует произносить непосредственно перед выполнением обязательной части молитвы. В настоящее время мулла нарекает ребенка именем, которое выбирают, как правило, родители. Но как вспоминают информанты, прежде имена в большинстве случаев выбирали старшие в семье – дед ребенка, его дядя и т.д. Девочке могла выбрать имя и бабушка (чаще – бабушка по отцу).

Что касается собственно тех имен, которые сейчас дают детям, то их можно разделить на несколько групп. Во-первых, это традиционно распространенные у

данной группы туркмен имена – как связанные с мусульманской религией (женские – Фатима, Мадина, Малика, Мерьем, Муслимет, Джумабике, Джумайхан и др.), так и не связанные с религиозными сюжетами и персонажами. Из числа последних – женские имена с формантом «султан» и «хан» (Бексултан, Айсултан, Шасултан, Бозархан, Генджехан, Зорахан, Токтохан, Меглихан и др.). Имена, даваемые младшим детям в семье – это Гендже/Кендже (младший), прежде встречалось и как мужское, и как женское имя) или многочисленные имена, частью которых является формант «гендже/кендже» (например, Генджехан). По свидетельству информантов, такие имена родители дают «последышам», когда считают, что других детей у них уже не будет. Практически перестали встречаться женские имена с формантом «огул» (мальчик, сын), бытовавшие еще в 1970-е годы. Во-вторых, для последних десятилетий характерно проникновение в именник туркмен Ставрополя имен, если можно так сказать, региональных, распространенных у многих народов Северного Кавказа, причем вне зависимости от их религиозной принадлежности. В-третьих, появляются имена, взятые, по формулировке информантов, «из кино, из телевизора, из сериалов»; следует отметить, что это в основном имена женские (Алина, Анжела, Ангелина, Индира, Радмила, Сабина, Эмма, Эльза, Элиза, Элина). Судя по всему, с женскими именами обращаются более «вольно», тогда как к именам мальчиков – наследников, продолжателей рода – относятся более «серьезно».

Следует отметить, что продолжает сохраняться и такое явление, как «составные», или «двусоставные» имена, очень характерные, особенно в прошлом, как для туркмен в целом, так, по данным архивных свидетельств, и для туркмен Северного Кавказа. Имеются и женские «двойные» имена, наиболее распространены таковые с элементом «гуль» – цветок: Гульминат, Гульгизар, Гульзанат, Гулистан, Гульнара, Гульмира, Кызылгуль, Гульджемине, Гульджемал, Айнагуль. Кроме того, выше уже шла речь о женских именах с элементами «хан» и «султан». Некоторые из подобных имена уже воспринимаются если не как устаревшие, то как слишком сложные для повседневного использования и произнесения окружающими. Например, девушку с традиционным именем Гульхадидже, живущую ныне в Ставрополе, там зовут Сюзанной.

«Русских» имен детям, как правило, туркмены не дают (исключение составляют дети из этнически смешанных туркменско-русских семей, которых немного), но в повседневной жизни они используются порой как «вторые» имена, особенно у лиц среднего поколения, что, возможно, было связано с тем, что в советское время нередко работа в совхозах и колхозах протекала в этнически смешанных коллективах, где было немало русских. Так, Бексултан могли звать также Верой, Айсултан – Асей, Шасултан – Светой и т.д. Опять же, судя по всему, это касалось прежде всего женских имен, по отношению к которым допускалось больше «вольностей». Подобное явление характерно и для ногайцев (*Керейтов* 1991: 100).

Представленные в данной статье материалы – лишь часть того обширного ономастического массива туркмен Северного Кавказа, который еще ждет своего детального изучения. Тем не менее и на этом этапе можно сделать определенные выводы относительно характерных особенностей именника туркмен Ставрополя и тенденций его изменения в последние десятилетия. Материалы, относящиеся к концу XIX в., свидетельствуют, что для именника местного туркменского населения того периода характеризовался преобладанием (или весьма значительной долей) «составных» имен, наличием большого числа тюркоязычных имен, имевших тот или

иной смысловой оттенок, связанных с той или иной обрядовой практикой (имена девочек с формантом «огул» при отсутствии сыновей в семье; особые имена в случае, когда дети в семье не выживали, и т.д.). Следует также отметить, что, по материалам этого времени, в каждом ауле существовала, судя по всему, и некая «локальная» традиция выбора имен, о чем говорит определенное своеобразие имен в отдельных обществах туркмен.

Судя по имеющимся материалам, именной туркмен этой группы стал существенным образом изменяться примерно с середины XX в., что было связано в целом с социально-экономическим развитием нашей страны и Северокавказского региона в частности, с интенсификацией межэтнических связей с соседними народами. Однако эти трансформации проходили в основном в «традиционном русле», под влиянием в немалой степени соседних народов Северного Кавказа. В силу этого доля «инородных» имен, воспринятых туркменами, оказалась минимальной.

### *Литература*

1. Брусина 2008 – Брусина О.И. Ставропольские туркмены. Этнокультурное развитие, социальные обычаи, процессы адаптации и интеграции / Исследования по прикладной и неотложной этнологии. № 202. М.: ИЭА РАН, 2008;
2. Брусина 2012 – Брусина О.И. Этническая группа в многонациональном окружении: полевые исследования среди туркмен юга России // Диаспоры. 2012. № 1;
3. Васильева 1969 – Васильева Г.П. Преобразование быта и этнические процессы в Северном Туркменистане. М.: Наука, 1969;
4. Керейтов 1991 – Керейтов Р.Х. Система личных имен у ногайцев и их параллели у народов Средней Азии и Казахстана // Из этнографии народов Карачаево-Черкесии. Черкесск, 1991;
5. Курбанов 1995 – Курбанов А.В. Ставропольские туркмены: Историко-этнографические очерки. СПб.: Изд. Отд. Языкового центра СПбГУ, 1995;
6. Личные имена в прошлом, настоящем и будущем: Проблемы антропонимики. М., 1970;
7. Невская 2013 – Невская Т.А. Земельные отношения у туркмен Северного Кавказа в начале XX века // Российская государственность в судьбах народов Северного Кавказа: Материалы региональной научно-практической конференции. Вып. 5. Пятигорск: ПГЛУ, 2013;
8. Никонов 1967 – Никонов В.А. Личное имя – социальный знак // Советская этнография. 1967. № 5;
9. Никонов 1971 – Никонов В.А. Этнография и ономастика // Советская этнография. 1971. № 5;
10. Никонов 1974 – Никонов В.А. Имя и общество. М., 1974;
11. Никонов 1975 – Никонов В.А. Личные имена туркмен // Полевые исследования Института этнографии. 1974. М.: Наука, 1975;
12. Соловьева 2013 – Соловьева Л.Т. Туркмены Северного Кавказа: о некоторых источниках изучения хозяйства и семейных традиций локальной этнической группы // Материалы III Международного конгресса кавказоведов. Тбилиси: Универсали, 2013;

13. *Функ* 2000 – *Функ Д.А.* Традиционная антропонимическая модель челканцев // Челканцы в исследованиях и материалах XX века. М.: ИЭА РАН, 2000 (Алтаистические исследования. Т. 3);
14. *Шакуров* 1980 – *Шакуров Р.З.* Рифмование имен у башкир // Ономастика Востока. М.: Наука, 1980;
15. *Шатинова* – *Шатинова Н.И.* Рифмование личных имен у алтайцев // Ономастика Востока. М.: Наука, 1980.

### *ღუბა სოლოგიოვა*

#### *ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხების ანთროპონიმია: სტაგროპოლის მხარის თურქმენ ქალთა სახელები რეზიუმე*

სხვადასხვა ხალხების ანთროპონიმული მოდელის შესწავლა, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში მათი ცვლილებები ხელს უწყობს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის უფრო სრულყოფილ შესწავლას, საზოგადოების რელიგიურ-ჩვეულებითი სისტემის, გენდერული და სოციალური სტრუქტურის, მსოფლმხედველობრივი საკითხების გამოვლენას. სტატიაში სწორედ აღნიშნული საკითხებია განხილული ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები თურქმენი ქალების ანთროპონიმული მოდელის ანალიზის საფუძველზე.

## სიზმარში ნაპოვნო საქართველო

### (სტუმრად ინეგოლელ ჩვენებურებთან)

ძნელია ემოციის გარეშე ისაუბრო იმ ადამიანებზე, რომლებიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო თურქეთის პოლიტიკური საზღვრების შიგნით აღმოჩნდნენ. მათ თვალეში აშკარად ჩანს ნოსტალგია და სამშობლოს დაშორებით გამოწვეული ტკივილი, რაც ვერ გაანელა დრომ და მანძილმა. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ენა, კულტურა, ტრადიციები, ეთნიკური თავისთავადობა. ახერხებენ კიდევ ამას, ქართულ გენს, ქართულ სულს ეფერებიან, ელოლიავენ და ამაყობენ თავიანთი „გურჯობით“. გურჯისტანის სსენებაზე თვალეზე ცრემლი აღგებათ მონატრებისა და სიყვარულის ნიშნად. ამ ხალხს ხატოვნად „ჩვენებურები“ ჰქვიათ. სიტყვა „ჩვენებური“ ქართულ მეტყველებაში მეგობარს, თანამოაზრეს ნიშნავს, უცხოეთში კი ეთნიკური კუთვნილება შეიძინა და თურქეთის, ახერბაიჯანისა და ირანის სინამდვილეში ქართველობის სინონიმად იქცა. ტრადიცია სავარაუდოდ XVII საუკუნეში უნდა დამკვიდრებულიყო, მაშინ როცა შაჰ აბასმა 400 ათასი ქართველი ირანში გადაასახლა და როცა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1877-1878 წლების ომის შემდეგ კი „ჩვენებურს“ საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი ქართველები ეძახდნენ ერთმანეთს. ამჟამადაც ისტორიული ქართული კოლონიების მოსახლეობა ერთმანეთს ამ ტერმინით მოიხსენიებს.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურების გული სამშობლოსადმი გაცილებით მეტი სიყვარულითაა ანთებული, ვიდრე საკუთრივ საქართველოში მცხოვრები ქართველებისა. მათ ახარებთ ჩვენი წარმატებები, აწუხებთ ჩვენი ტკივილი. კოლექტიურად უყურებენ ქართულ საინფორმაციო გადაცემებს და ოცნებობენ იმ დროზე, როცა „აქეთა“ და „იქეთა“ ქართველები გავერთიანდებით.

წლების მანძილზე მრავალ გამოჩენილ პიროვნებასთან მქონდა და ამჟამადაც მაქვს ახლო ურთიერთობა. ახლო ურთიერთობები მაქვს არაერთ ჩვენებურთან, რომლებიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ჩვენი ქვეყნის საზღვრების მიღმა ცხოვრობენ. მათ შორის არიან: იბერი მელაშვილი, გურამ ხიმშიაშვილი (მუსტაფა იაკუთი), უზალ უსტიაშვილი, ონურ სარიქაია და სხვები. იბერი დიდი ახმედ მელაშვილის ვაჟია. სტამბულის ქართული ხელოვნების სახლს იბრაიმ არასის (ფუტკარაძის) თამხლებით პროფესორები: მარინა აროშიძე, ალა კონდრაშევა და მე მაშინ ვესტუმრეთ, როცა იბერი მელაშვილის პროფესიული საქმიანობის 40 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდნენ. კულტურის ცენტრში მალე გურამ ხიმშიაშვილი და ქობაქელი (ტაოს ქართული სოფელი) ონურ სარიგაიაც მოვიდნენ. საუბარი მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. თითოეული ჩვენგანი თავს მშობლიურ საქართველოში ვგრძნობდით. საუბარი შეეხო ჩვენს ტრაგიკულ ისტორიას, ქართველთა მძიმე ხვედრს. ვისაუბრეთ ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ. მასპინძლება გაიხსენეს მათი შეხვედრები ფრიდონ

ხალვაშთან, რამაზ სურმანიძესთან, როზეტა გუჯეჯიანთან, სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ როზეტა გუჯეჯიანის პატრიოტული საქმიანობის მიმართ და სიამაყით საუბრობდნენ ახმედ მელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციის შესახებ, რომელიც ჩატარდა თბილისში როზეტა გუჯეჯიანის ინიციატივით და რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ისინი. ჩვენმა მასპინძლებმა გამოთქვეს საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის სურვილი.



პროფ. მ. აროშიძე, ა. კონდრაშევა, იბერი მელაშვილი, თამაზ ფუტკარაძე, გურამ ხიმშიაშვილი, ონურ სარიგაია

ბურსა (თურქულად „ეშილ ბურსა“-საც უწოდებენ) ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქია, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები. მათი დიდი ნაწილი ქალაქთან ახლოს მდებარე ინეგოლსა და ინეგოლის რაიონის 20 სოფელში (მესრულიე, ჰილმეი, საადეთი, ჰასან ფაშა, ფინდიკლი, ბათახლი, გულბახჩე, ჩიფლიკი, კარა კადირი, ხეირიე, დერეჩათი, ყაზელლი, ფეეზიე, გუნექესტანე, ელმაჩაირი, იენიჯე, მერზუკიე, ერიკლი, სულხიე) ცხოვრობენ და გადმოსახლებულნი არიან ძირითადად მაღალმთიანი აჭარიდან (ოლადაური, ჭალა, ჭვანა, კვიახიძეები, გოგინაური, ნენია, აღმე...), ასევე ახალციხიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. რაიონში ფუნქციონირებს კიდევ ქართული კულტურის ცენტრი, სხვა ქართული ორგანიზაციები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ბურსაში დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ჩვენებური“ აჰმედ ოზკანის (მელაშვილის) ხელმძღვანელობით.

2014 წლის აპრილ - მაისში ევროკავშირის საგრანტო პროექტის „პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების საკითხები და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი“ -ს ფარგლებში ვიმყოფებოდი ბულგარეთსა და თურქეთში. სტამბოლის ერთ-ერთ სასტუმროში მე და ჩემს მეუღლეს სპეციალურად ჩამოგვაკითხა ინეგოლელმა ქართველმა იბრაიმ არასმა (ფუტკარაძემ) და შემოგვთავაზა მასთან ერთად ინეგოლში გამგზავრება. სიამოვნებით

დავთანხმდით შემოთავაზებულ წინადადებას. შესაბამისად მოგვეცა შესაძლებლობა მოგვენახულებინა ინვეოლელი ქართველები.

იბრაიმ ფუტკარაძე არაჩვეულებრივი ადამიანია. იგი ბურსაშია დაბადებული 1964 წლის 5 აპრილს. დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესიით გემის ინჟინერია. მან საკუთარი მანქანით ჩაგვიყვანა ინვეოლში და დაგვაბინავა საკუთარ ოჯახში. მეუღლეც, ქალბატონი სევდა - თავდგირიძეების ასული შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა. სტუმართმასპინძლობა, ქართველების სიყვარული გენეტიკურად მოსდგამთ იბრაიმსა და მის შესანიშნავ მეუღლეს. ისინი სიზმარსაც ქართულად ნახულობენ და ახლად ნასწავლ თუ წინაპრებისაგან შემორჩენილ ქართულ ამბებს იშვიათი გულმოდგინებით ყვებიან. სამი შვილი ჰყავთ იბრაიმსა და სევდას: ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟკაცი. სენა - უფროსი ქალიშვილი სტამბოლის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტია, იმჰტა მეთექვსმეტე კლასში სწავლობს, უმცროსი მირზა კი მეშვიდე კლასის მოსწავლეა. იბრაიმს სახლში ყურანის გვერდით შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“ უდევს და ყოველდღიურად ეფერება ქართულ წიგნსა და ანბანს.



ბერიძე მედეა, სევდა თავდგირიძე, იბრაიმ და თამაზ ფუტკარაძეები

მას ეამაყება, რომ ქართველია. სწორედ ამან გადააწყვეტინა მას ქართული ენის შესწავლა და უნდა, რომ შვილებსაც ასწავლოს ქართული. ამ მიზნით მას ბათუმში სახლის შესყიდვა გადაუწყვეტია, რათა მიეცეს შესაძლებლობა საკუთარ შვილებს ასწავლოს მშობლიური ენა და ისტორია.



იბრაიმ არასი//ფუტკარაძე ქართველებთან ერთად

იბრაიმმა საუბარში გაიხსენა თავისი ბავშვობა და ის დღე, როცა გაცნობიერა მისი ეროვნული წარმომავლობა. ბავშვობაში ვერც წარმოიდგენდა, რომ რკინის ფარდით გამოყოფილ საქართველოს ოდესღაც ნახავდა, ვერც იმას, რომ საზღვრები გაიხსნებოდა და თურქული გვარის მატარებელი რამოდენიმე წლის შემდეგ დაიწყო ქართული გვარის ძებნას და გურჯისტანისაკენ გააყოლებდა თვალებს ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სიყვარულით, საქართველოსაც იპოვიდა და თავის გვარსაც. ამ სიყვარულმა საზღვრების გახსნის შემდეგ მოაძებნინა მისი ფესვები. ამ სიყვარულმა და მონატრებამ იგი შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებამდე მიიყვანა. ამის შემდეგ იგი თურქეთში ჩასული ყველა ქართველის მასპინძელად და პატრონად იქცა. ზოგიერთებს სამსახურიც კი დააწყო. მათ შორისაა ყოროლისთაველი ბაქარ ფუტკარაძე, რომელსაც გემზე დააწყო მუშაობა და მისი გავლენითა და თხოვნით ბაქარს იმაზე მეტ ანაზღაურებას უხდიან, ვიდრე დანარჩენ ქართველ მეზღვაურებს. წუს იბრაიმი იმაზეც, რომ ვერ შეძლო დანარჩენი ქართველებისათვის ხელფასის მომატებაზე დაეთანხმებინა შესაბამისი ორგანიზაციის ადმინისტრაციას. იგი გულიანად აკეთებს თავის საკეთებელს და ხშირად ამბობს კიდევ: **„გული უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ფული“**.

იბრაიმი ამბობს, რომ ქართველია, მაგრამ გული წყდება, როცა მის ისტორიულ სამშობლოში ზოგჯერ არაადეკვატურ შეკითხვებს უსვამენ. „მე გურჯი ვარ, ჰამა ბათუმში ერთმა მკითხა: თურქი ხარ თუ გურჯიო. თურქის ფენჯრიდან გადახედავ თურქი ვარ, გურჯის ფენჯრიდან გადახედავ გურჯი ვარ მეტი - ვუთხარი. თქვენთან გურჯი ვერ გავხდი, ამათთან კი თურქიო“, გულისტკივილით დაასრულა თავისი სათქმელი.

იბრაიმს აწუხებს ისიც, რომ ბევრი ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან რელიგიას და ეროვნებას. იგი ძალზე ადაშფოთა კურორტ ოილათში ერთ-ერთი ქართველი ქალბატონის მიერ თავისი ქართველობის უარყოფამ: „მე ბევრი ქრისტიანი არხატაში (მეგობარი, თ.ფ.) მყავს. ყველა ქართველი ჩემი და-ძმა არის. ქართველობა ჩვენი შემსიეა (ქოლგა, თ. ფ.), ყველას გედგვოხურება“ -ამბობს იგი.

2014 წლის 1 მაისს იბრაიმა ჩაგვსვა საკუთარ მანქანაში და ქალაქის ქართველები და ინეგოლის ქართული სოფლები მოგვანახულებინა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენში ინეგოლის კულტურის ცენტრში თავმოყრილ ქართველებთან შეხვედრამ. იქ იყვნენ: **ფეფი და ისმაილ ქაია მაკარაძეები (ოლადაურიდან), საბრი არიფოღლი (ჭვანიდან), შენოლ ეიჯერი (გვარი და სოფელი ადარ ახსოვს), ჰაიათ იაგუზი და სხვები.**



ინეგოლელ ქართველებთან. ცენტრში ისმაილ მაკარაძე

**ისმაილ მაკარაძემ** სიამაყით აღნიშნა, რომ მონაწილეობს სოსო სტურუას მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ჩვენებურებს ეძღვნება. ზოგიერთ მათგანს ახსოვთ წინაპრების მიერ გადმოცემული ისტორია მათი გადმოსახლების შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ ჰაიათ იაგუზის მონათხრობ ზეპირ ისტორიას: „ნენე გოგიტიძე იყო გოგნიაურიდან, ბაბოს თერეფი აღმედან, ჰელბეთ აბულაძე. ნენედან ვიცი, იქიდან რომ წამუელით, ექვსი წლის ვიყავიო. რუსის და ოსმალოს ჩხუბი რომ მოთავდა, სინორი (საზღვარი. თ. ფ.) გაავლეს და ხალხს უთხრეს: ვინცხას გინდათ, ოსმალოში წაით, ვინცხას გინდათ, რუსეთში დარჩით, რომ კარი ნა დეეძრასო (კარი უნდა დაიკეტოსო, თ. ფ.). ყოფილან სამი ძმა. დიდ ძმას უთქვამს: პაწა ძმამ და დამ წაითო. დიდი ძმა ოსმანაი დარჩენილა გოგნიაურში. პაწაი კი ბათუმიდან გემით წამოსულა. ჩამოსულან სამსუნში. იქ არ მოწონებიან დასაჯდომი ალაგი. იქიდანაც კონიაში ჩამოსულან. არც იქ მოწონებიან: არც ხეა, არც წყალიო და მერე ჩამოსულან ინეგოლში. იქიდან დაპანტულები ყველაი აქ მოყრილან. ნენეი იტყოდა: დაბლა ოფიზან ბარია (ინეგოლის უბანი), იქ დაჯექით - გვითხრესო, ჰამა იქ ბუზი, კოლო, ტალახი ყოფილა. არ მოწონებიან და ასულან სოფელ მეხითში (ინეგოლიდან 24 კმ-ში). ნენეი რომ გეიზარდა გამოთხოვდა სოფელ თუფეჩი ყონაღში.

ნენეი იტყოდა: ჩვენ მუსლიმანები ვიყავით, ვლოცულობდით, ვკითხულობდითო. რუსის ასკერები ჩამოდიოდენ და გვცემდენ. ჩვენ უჩუმადაი ვლოცულობდით. რუსები ჩვენ კაცებს რომ მოკლავდენ, პურის ბულულის ქვეშ შემოდებდენ ჩვენ კდრებს. იმას უკან ორთაღულმა დაოლდაო (დაწყნარდა), ჩვენ აქ წამოვედით და დევწყეთ ცხოვრებაო“.

ემოციების გარეშე შეუძლებელია ისაუბრო ავეჯის მწარმოებელ მეთინ უნგანთან შეხვედრის შესახებ. მას საკმაოდ დიდი საწარმო აქვს. იღებს შეკვეთებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან. მეთინ უნგანს აღარ ახსოვს მისი წინაპრების გვარი, მაგრამ სულით და ხორცილთ ქართველია, ამაცობს კიდევ თავისი წარმომავლობით, მაგრამ გული ტკივა, როცა მისი თანამემამულეების ცუდი საქციელის შესახებ გაიგებს რამეს. მას არ დაუმაღლავს გულისწყრომა ერთ-ერთ ვაიქართველზე, რომელიც თითქოს დახმარებას დაპირდა, საქართველოს მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ იქაურ ქართველებში აკრიბა გარკვეული რაოდენობის თანხა და მიიმალა. „ჩვენებური იყო და რამე არ ვთქვით, ისე გაგჰერსდითო“ - დაასრულა თავისი სათქმელი ბატონმა მეთინმა. ჩვენი მცდელობის მიუხედავად მასპინძელს იმ უკეთური ქართველის ვინაობა ვერ ვათქმევინეთ.



იბრაიმ არასი (ფუტკარაძე), მეთინ უნგანი, თამაზ ფუტკარაძე, მედეა ბერიძე

წარსულის ტკივილიანი დღეების გახსენების გარეშე არ ჩაუვლია ჩვენს შეხვედრას ადემ თაიართან (დუმბაძესთან) - ჩანჩხალოელ მუჰაჯირთა შთამომავალთან. „საქართველო ჩემი სამშობლოა. სიზმრებს ბოლო დროს ქართულად ვნახულობ. მიყვარს ქართველები, ჰამა თქვენ მუსლიმანი ქართველების სიყვარული გაკლიათ. ქრისტიანმა და მუსლიმანმა ქართველებმა ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლოთ“. მუჰაჯირობის ისტორია ქართველთა მძიმე ისტორიულ ხვედრს უკავშირდება. ამ მწარე დღეებს ადემს მუდმივად ახსენებს კაბინეტში კედელზე ჩამოკიდებული მისი დიდი წინაპრის მეკლუდის სურათი. ადემს აქვს ავეჯის მწარმოებელი საწარმო. ფირმისთვისაც ქართული სახელი „ნათელა“ დაურქმევია.



ადემ თაიართან (დუმბაძესთან)

ადემ დუმბაძის  
ბაბუას სურათი

ჩვენებურებს დიდი სურვილი აქვთ სამშობლოზე უფრო მეტი იცოდნენ და გვსაყვედურობენ - არ გვპატრონობთო. ცხადია, ამ საკითხებზე სახელმწიფო - ქვეყანაში არსებული პრობლემების მიუხედავად - უფრო უკეთ უნდა ზრუნავდეს. უნდა მოვამარაგოთ ქართული წიგნებით, უნდა მოიხსნას ყოველგვარი ბარიერი საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველი „ჩვენებურებისათვის“. ეს სურვილი გამოთქვებს სოფელ **ჰილმიეში მცხოვრებმა სერვეთ, ოსმან და თემურ დავითაძეებმა, ისმაილ შენმა (ჭაღალიძემ), მუსტაფა ჭაღალიძემ, აზიზ ეფერმა (მამულაძემ), ისმინაზ აიაზმა და სხვებმა.**



სოფელი ჰილმიე, ისმინაზ აიაზი, სერვეთ დავითაძე და თამაზ ფუტყარაძე

ისინი ჩვენგან არ ითხოვენ არც ფულს, არც პატივს. ჩვენგან ელემენტარულ ყურადღებას და მოფერებას ითხოვენ. უნდათ, რომ ქართული სახელმძღვანელოებით მოვამარაგოთ, ქართული ისტორიული ფილმები ვაჩვენოთ, ჰქონდეთ ქართული ტელეარხები, თუმცა „ძალიან ცქვიტა (ჩქარა) ლაპარაკობთ და გვიჭირს გაგებაო“.



*მუსტაფა ჭაღალიძე, თამაზ ფურტყარაძე,  
მედეა ბერიძე*



*თამაზ ფურტყარაძე და  
თემურ დავითაძე*

ერთი დიდი ტკივილი გაყვა თბილისიდან ბატონ მუსტაფა ჭაღალიძეს: „თიფლისში გააცნეს ჩემი თავი - თურქეთელი ქართველიაო. იქ ერთი ქალი იჯდა და თქვა: „მოლაღატო“. რატომ ვარ მოლაღატე, ქართველობა რომ შევნახე იმიტომ? ჩემი ბრალი ხომ არაა, რომ თურქიეში მოგვიწია ცხოვრება. აქ, თურქიეში არ ვიყოფით მიღეთი თურქებად და გურჯებად, ჩემს ვათანში ასე რატომაა, ვერ მივმხდარვარ. თურქიეში ჩვენებურები მაღალ ადგილებზე მუშაობენ თავრობაში, მეჯლისში. გურჯისტანში რომ ვიყოთ, ჩვენ არსად არ გაგვაკარებენ“ - პირდაპირ გვითხრა თავისი სათქმელი ამ გულმართალმა კაცმა.

უნებლიეთ მახსენდება ერთი ცნობილი გამონათქვამი: „მირჩვენია აქ გურჯი ვიყო, ვიდრე საქართველოში თათარი დამიძახონო“. სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენ ვერ გამოვედით ფეოდალური ცნობიერებიდან. გრიგოლ ხანცთელის ეპოქის ქართველები უფრო მაღალი ეროვნული ცნობიერების მატარებელნი იყვნენ, ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის ქართველები. გავისხენოთ გიორგი მერჩულეს სიტყვები: „ქართლად ფრიად ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ეს ითქვა 10 საუკუნის წინ, დღეს კი წაიშალა ერთიანობის განცდა. ქართველი ქართველს ებრძვის, სოფელი სოფელს, სამარცხვინოდ ვკამათობთ რაღაც რეგიონალურ „საზღვრებზე“, გავითოკაცდით და ბედნიერად ვთვლით თავს, თუ სამშობლოს დამარცხების ხარჯზე მივალწევთ რაიმე პირად „წარმატებას“. სამწუხაროა, რომ ამ სენით ისე დაავადდა ქართული სხეული, რომ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენებურებს პირველივე შეხვედრის დროსაც არ გამჩნელებიათ ამ დაავადების დანახვა. ამაში კიდევ ერთხელ დაგრწმუნდი დიდებულ ქართველთან **მეჰმედ ემინ ქაია - მაკარაძესთან** შეხვედრისას. იგი ოლადაურელი მუჰაჯირების შთამომავალია. მისი დედა კობალთელი თავდგირიძის ასული ყოფილა, ბაბუის დედა კი შუბნელი ალიაღიშვილების შთამომავალი. ამ შესანიშნავ ადამიანს ინეგოლის კულტურის სახლში იმ დროს შევხვდით, როცა აჭარის ტელევიზიით გადიოდა ამ სტრიქონების ავტორის ლექცია „ქართული დიასპორები უცხოეთში“. უნდა ითქვას, რომ ამ ლექციას დიდი გამოსმაურებები მოყვა საინგილოს, ფერეიდანისა და თურქეთის ქართულ მოსახლეობაში. სიამაყის ცრემლების გარეშე ვერ წაიკითხავ ფერეიდანელი ქართველის **საიდ მუ-**

ლიანის გამოსმაურებას: „გამარჯობათ. როგორ გიკითხოთ. მე ვარ საიდ მულიანი. ვუყურებ თქვენს ლექციას აჭარის ტელევიზიაში, ფერეიდანში და ძალიან მომეწონა. მე აქ მაქვს ქართული სკოლა. მადლობა“. იგივე შინაარსისაა სტამბოლელი ქართველის ორჰან ბერიძის წერილიც: „გამარჯობათ. მე ვარ თურქეთელი ჩვენებური გურჯი ქართველი. ვცხოვრობ სტამბულში. ბაბუის ბაბუა გადმოსულა საქართველოდან. ვუყურებ თქვენი გაქვეთილებზე აჭარა ტელევიზიაში, დიდად მოგვეწონა. მადლობა“.

სამადლობელო წერილებთან ერთად ინგილოელი ჩვენებურების სამართლიანი საყვედურის მოსმენაც მოგვიხდა: „გამარჯობა ბატონო თამაზ. მე ვარ საინგილოდან, თემო სუყაშივილი. გიორგობას გილოცავთ! შეგეწიოთ ქურმუხის წმინდა გიორგის ძალა და მადლი! დღეს კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში თქვენს ლექციას ვუყურებ აჭარის ტელევიზიაზე, რომელიც საზღვარგერეთ მცხოვრებ ქართველებს ეხებოდა... მთელი ოჯახი სულმოუთქმელად ველოდებოდით, როდის დაიწყებდით საუბარს ისტორიულ ჰერეთში (ბედუკუღმართობით აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული და საინგილოდ წოდებული მხარე) მცხოვრებ ქართველებზე. ძალიან გული დაგვეწყდა, რომ ერთი სიტყვითაც არ შეეხეთ ამ ყველასგან დავიწყებულ მხარეს და ხალხს... დასავლეთ საქართველოში ძალიან ცოტა იციან ჩვენი კუთხის, ადათ-წესების, ტრადიციების და ხალხის შესახებ. იმ ხალხის შესახებ, სადაც ქართველობას ყველაზე მეტად გვაქვს შენარჩუნებული ქართული ცნობიერება, სული, გენი, რელიგია და საქართველოს სიყვარული. და სწორედ თქვენ, პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტი როლი გეკისრებათ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისათვის. თემო სუყაშივილი“.

საპატიებელი ჩვენს თანამემამულეს არაფერი აქვს. ჩვენ კი ნამდვილად უნდა ვთხოვოთ პატიება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. წარმოდგენილ წერილებში ნათლად ჩანს ისტორიული ბედუკუღმართობით სათავედადებული უდიდესი სიყვარული და ნოსტალგია მშობლიური საქართველოსადმი.

ლექციის შინაარსით კმაყოფილი დარჩა ჩვენი მასპინძელიც, მაგრამ საქართველოში არსებულ მძიმე მდგომარეობასა და გაუსაძლის ყოფაზე ფიქრსა და დარდს თავი ვერ დაადწია. ბატონ მეჰმედს შესანიშნავად ახსოვს მუჰაჯირობის ისტორია, გადასახლების უმძიმესი დღეები. მისი ინფორმაციით, მისი წინაპრები ბათუმიდან „გულ-ჯემალ გემით“ გადაუყვანიან. გულ-ჯემალი ფადიშაჰ სულთან რეშადის დედა წარმოშობით ქართველი ყოფილა. „ჩვენ რომ გადმოვსახლდით, სულთანი იყო აბდულ ჰამიდ მეორე, რომლის ცოლი ქართველი ბეზმი ალემ სულთანი იყო. მან მოგვცა დასახლებლად გადმოსახლებულებს ეს ადგილები. 18 სოფელმა დაჯდა ამ ტყეებში. რაცხა ადეთი იყო აჭარაში, ის ადეთი გვაქ, არ შევშალებით. ადეთი არ მოგვიშლია ცეკვაში, საჭმელში. გვაქ საჭმელები: ქალაჯო, ფხალლობიაი, ჭიმური, ხაეიწი, ჰასუთა, ჟავე. ვიცით წოწოლაი. თურქებმა ეს არ იციან“.



*ქართული კულტურის ცენტრი ინეგოლში. ცენტრში მეჭმედ მაკარაძე*

ბატონი მეჭმედი საინტერესოდ ყვება მუჰაჯირობის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ჩემი ერთი დედეს დემურალას ცოლი ბათუმში დარჩენილა - გოგნიაურში. ცოლს უთქვამს: ველარ დიგინახავ ამის მერეო. საღამოზე, თვის 14-15-ში თვარე დიდი რომ გახდება, აქედან შენ შეხედე, იქიდან მე შევხედავ, თვარე სარკესავით იქნება და დიმიანახავო, უთქვამს დემურალ დედეს. ამას რომ ილაპარაკებდა ნენეი, იტირებდაო“- დაასრულა მუჰაჯირობის შესახებ საუბარი ჩვენმა მასპინძელმა.

მეჭმედ მაკარაძემ შესანიშნავად იცის ქართველების ფერეიდანში გადასახლების ისტორია. ისინი თვლიან, რომ გიორგი სააკაძის საბრძოლო წარმატებები ოსმალების დამსახურება იყო, თითქოსდა ოსმალეთი ქართველებს უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას უწევდნენ. იქ მცხოვრები ბევრი ქართველისათვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ოსმალეთიც ისეთივე დამპყრობელი იყო საქართველოსათვის, როგორც ირანი. მათ სწამთ, რომ შაჰ-აბასი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, რომ მას ძილის დროს თავი სააკაძის თანხლებმა ქალმა სარომ მოკვითაო.

მეჭმედ მაკარაძე ვერ ეგუება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. თავის დროზე, 2002 წლის ივნისში მას მონაწილეობა მიუღია სამშვიდობო მისიის მუშაობაში. ამ მიზნით შეხვედრია ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძესაც.

მეჭმედ მაკარაძე ინეგოლის ქართული კულტურის ცენტრის მუდმივი სტუმარია. იგი ამაყობს ქართული ხელოვნებით, ქართული კულტურით: „ჩვენი ცეკვები რომ დეინახო, გიგისხარდება. ისე ცქვიტად (სხარტად), მოქნილად ცეკვობენ. ჩვენი სოფლებიც აჭარის სოფლებს გავს. ესენი აქ იოლად ჩანს. ჩვენი სისხლი და ხორცი გრძნობს ჩვენს ერთობასო“.



### ქართული კულტურის ცენტრი ინეგოლში

ჩვენებურებს, თურქეთის ქართველებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვისტომო-საზოგადოებები, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები, შემოქმედებითი კავშირები, რომლებიც მეჭმედ მაკარაძისა და სხვა შექმნილი ქართველების მუდმივი მზრუნველობის ქვეშაა. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ფოლკლორის შესწავლისადმი, გამოთქვამენ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილს. სათვისტომოებში მოქმედებს ქართული ფოლკლორული ანსამბლები. ახალგაზრდა თაობა თანდათან მზარდ ინტერესს იჩენს თავისი ეთნიკური ფესვებისადმი. ჩვენი ვალია დავეხმაროთ ასეთ ქართველებს, მოვეფეროთ და გულში ჩავეკრათ ისინი. ამ რწმენით დავმორდით ჩვენებურებს და უდიდესი შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა გამოვეშურეთ საქართველოსაკენ იმ იმედით, რომ კვლავ მოგვეცემა მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.

***Tamaz Putkaradze***

***In a dream found Georgia***

***(Visiting the Inegolel Georgians)***

***Summary***

Due to the Turkey's historical misfortune a lot of Georgians turned out in political borders, who have maintained the language, culture, traditions, ethnic identity. These people pictorially are called „Chveneburebi”. „Chveneburi” in Georgian language means friend, and in abroad purchased ethnicity and has become synonymous to Georgians in Turkey, Azerbaijan and Iran. Still the population of historical Georgian colonies refers to each other with this term. The article presents the issues of everyday life and culture of the population Inegoli.